კაპიტანს არ ჰქონდა მხარდაჭერა

მოსკოვი. "დინამოს" სტადიონი. 20 ოქტომბერი.

"დინამო" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 2:1 (2:1).

მოსკოვი: რაკიტსკი (სკოკოვი), ივანოვი, მუდრიკი, შტაპოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ვოტოლოვსკი (ცარიოვი), ბობკოვი, ვშივცევი, ავრუცკი, ევრიუჟიხინი.

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი (ხუციშვილი), პეტრიაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მსაჯი ე. ჰიარმსი (ტალინი).

დუბლიორები – 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მატჩი ძველ მეტოქეთა შორის დაიწყო თბილისელთა საკამოდ აგრესიული, სწრაფი შეტევებით და ტრიბუნებზე მსხდომი 19 ათასი მაყურებელი მოელოდა, რომ ეს იერიში გარკვეულ ნაყოფს გამოიღებდა. მაგრამ გავიდა 10 წუთი და შეტევა თითქმის მთლიანად შეწყდა. მოსკოველებმა მაშინვე იგრძნეს, რომ მოწინააღმდეგის იერიში ვითარდებოდა მხოლოდ ცალმხრივად, მარცხენა ფლანგიდან, ხოლო ასათიანის მხრივ საპირდაპირო ფრთიდან მათ ხიფათი არ ელოდათ. ამიტომ გუნდმა გააძლიერა დაცვა იამანიძე-დათუნაშვილის საწინააღმდეგოდ და მალე თვითონ გადავიდა კონტრიერიშზე.

მართალია, თბილისელთა ნახევარმცველები კარგა ხანს აქტიურად თამაშობდნენ და შორი გადაცემებით წინ აგზავნიდნენ თავდამსხმელებს, მაგრამ ამ უკანასკნელთა სამოქმედო დიაპაზონი მაინც შეზღუდული იყო. მოგვიანებით ასათიანი გადაყვანილ იქნა ცენტრში და თავდასხმის თამაშიც შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც არ იგრძნობოდა მთლიანობა და გუნდის კაპიტანს იამანიძეს არ ჰქონდა შესაფერისი მხარდაჭერა პარტნიორთა მხრივ.

ანგარიში გაიხსნა მე-16 წუთზე ისეთ ვითარებაში, როცა სრულიადაც არ ემუქრებოდა თბილისელებს გოლი. დაცვამ უხეში შეცდომა დაუშვა და ავრუცკის ოდნავადაც არ გასჭირვებია პირისპირ გასულიყო მეკარე ურუშაძესთან. ფორ-ვარდის ეს გარღვევა, ბუნებრივია, დამთავრდა გოლით – 1:0. ამ მარცხს სტუმრები არ "გამოუფხიზლებია" და ინიციატივა კვლავინდებურად მოსკოველებს ეპყრათ ხელთ. 33-ე წუთზე თბილისელთა კარში შორი მანძილიდან დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ივანოვმა მის წინაშე აღმართულ კედელში მოძებნა გზა ბურთისთვის და ყუმბარისებური დარტყმით ზევით მარცხენა კუთხეში გაგზავნა იგი. ურუშაძე უძლური იყო – 2:0.

თუ თბილისელთა მეკარე არ შეიძლება დავადანაშაულოთ ორივე გაშვებულ გოლში, საპასუხო ბურთი მოსკოველთა კარში მთლიანად მეკარე რაკიტსკის სინდისზეა. მან ყოვლად გაუმართლებლად დატოვა კარი და გამოვიდა წინ, რითაც ასათიანს საშუალება მიეცა გაექვითა ერთი გოლი – 1:2.

გამარჯვება, რა ანგარიშითაც უნდა ყოფილიყო იგი, ყოველმხრივ ხელს აძლევდა მოსკოველებს, ამიტომ მათ მეორე ტაიმში ვიტოლოვსკის ნაცვლად ცარიოვი გამოიყვანეს მინდორზე და გააძლიერეს დაცვითი რიგები. საწინააღმდეგო ცვლილება მოხდა თბილისელთა შორის, სადაც რეხვიაშვილის ნაცვლად კიდევ ერთი დავდამსხმელი იქნა შემოყვანილი – ხუციშვილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო რაიმე გარდატეხის შეტანა თავდასხმის თამაშში. იამანიძე კიდევ და კიდევ ცდილობდა გამარჯვების რწმენა ჩაესახა თავის პარტნიორებში, მას კი არავინ დაუჭირა მხარი და ეს, პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას მეტრეველზე. 45 წუთის განმავლობაში იგი სულ 2-3-ჯერ ჩაება თამაშში, დანარჩენი დროის განმავლობაში კი მშვიდად უცდიდა მსაჯის საფინალო სასტვენს.

მოსკოველებმა დინჯი, გეგმიანი თამაშით შეძლეს კარის უხიფათობის დაცვა, თანაც მათ კიდევ ერთი გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ. აქ თავი გამოიჩინა ურუშაძემ, რომელმაც პირისპირ გასულ ევრიუჟიხინისგან აიღო თითქმის უიმედო ბურთი.

ზ. ჯაფარიძე (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
"ლელო", 22 ოქტომბერი, 1966 წ.